ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2024 წლის 23 დეკემბრის სხდომის

ოქმი # 10

სხდომას ფაკულტეტის საბჭოს 35 წევრიდან ესწრებოდა 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრებად ასოცირებული პროფესორების: მარი წერეთელი, თინათინ მაჭარაშვილი (ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება), ფიქრია ასანიშვილი (საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება) და ლაშა მათიაშვილის (სოციოლოგიისა და სცოიალური მუშაობის მიმართულება) კანდიდატურების დამტკიცება
2. ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის განხილვა
3. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება
4. სამაგისტრო პროგრამა "სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" გაუქმების საკითხი
5. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ გიორგი ბერიძის დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
6. ჟურნალისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
7. სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა პაპიაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
8. პროფესორ გიორგი გოგსაძისა და ასოცირებული პროფესორის, ია იაშვილის განცხადების განხილვა მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიისთვის „The main challenges of gender based international labor mobility: Transnational migrant families from Georgia“ , რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ Journal of Eurasian Studies“-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრული ჯილდოს გამოყოფის თაობაზე.
9. ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძის განცხადების განხილვა მის მიერ გამოქვეყნებული სტატიისთვის „“Advocacy Coalitions and Education Policy Transfer: Lessons from School Board of Trustees Policy in Georgia”, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „International Journal of Education Reform“-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრული ჯილდოს გამოყოფის თაობაზე.

10. აკადემიური საბჭოს 112-ე დადგენილებაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა

11 სადოქტორო ნაშრომის სათაურების დაზუსტება/ცვლილება

12. კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების მობილობის საკითხის განხილვა

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის. საერთაშორისო ურთიერთობების და სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულებებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევის შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის გამო, ასოცირებულ პროფესორებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებიდან: მარი წერეთელს და ნანული ტალახაძეს, ასოცირებულ პროფესორს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან - ფიქრია ასანიშვილს და ასოცირებულ პროფესორს სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულებიდან - ნინო დურგლიშვილს შეუწყდათ ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. შესაბამისად, მოცემულ მიმართულებებზე გამოცხადდა საბჭოს წევრის არჩევნები, რომლის შედეგების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებიდან ასოცირებული პროფესორები მარი წერეთელი და თინათინ მაჭარაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან - ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულებიდან - ასოცირებული პროფესორი ლაშა მათიაშვილი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ. დოლბაიამ, ასოცირებულმა პროფესომა ზ. აბაშიძემ

დაადგინეს: დამტკიცდნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრებად ასოცირებული პროფესორები: მარი წერეთელი, თინათინ მაჭარაშვილი) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება), ფიქრია ასანიშვილი (საერთაშორისოი ურთიერთობების მიმართულება) და ლაშა მათიაშვილი (სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულება)

მოისმინეს: 2 ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, ს. დუნდუას ინფორმაციით, მომდევნო წლის ბიუჯეტში კვლავ რჩება ყველა ის აქტივობა, რასაც აქამდე ახორციელებდა ფაკულტეტი. კერძოდ: მიზნობრივი კვლევითი პროექტები, მიზნობრივი პროექტები მაგისტრანტებისთვის, მივლინებები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ და ა. შ. ს. დუნდუას ინფორმაციით მომდევნო წლიდან ფაკულტეტზე აღარ

გამოცხადდება სახელმძღვანელოების კონკურსი, რადგან მოცემული აქტივობა გახდა საუნივერსიტეტო სახის და ის უკვე ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ასევე, ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 10 000 ლარით გაზრდილია მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები (დანართი 1)

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, თ. მატარაძემ, კ. შუბითიძემ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს წევრები გაეცნენ და ცნობად მიიღეს ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება დამსწრეთ გააცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თ. დოლბაიამ და აღნიშნა, რომ დებულების ცვლილების მიზეზი ის საკანონმდებლო სიახლეებია, რაც აუცილებლად უნდა აისახოს დებულებაში (დანართი 2)

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, ზ. აბაშიძემ, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს

მოისმინეს: 4. „საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ბაზიდან“ მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამის, „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ ამოღების აუცილებლობის თაობაზე ისაუბრა თ. დოლბაიამ. მან თქვა, რომ პროგრამას გაუვიდა აკრედიტაციის ვადა და არ ჰყავს სტუდენტები.

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: „საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ბაზიდან“ ამოღებულ იქნეს მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამა „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ (***დადგენილება #57/2011, დანართი # 64***); და საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 5 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ გიორგი ბერიძის დისერტაციის დაცვის თარიღის დადგენა. გიორგი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის “პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ბიზნესელიტები საქართველოში (შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია 2014 -2023 წლებში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე)

რეცენზენტები იყვნენ მურმან ცარციძე (ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი), ირაკლი გორგილაძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), მარტინ ჰეიდენრეიხი (სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, ევროპისმცოდნეობის ჟან მონეს პროფესორი, ოლდებურგის უნივერსიტეტი, გერმანია). სამივე რეცენზია არის დადებითი. ს. დუნდუამ გიორგი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად საბჭოს წევრებს შესთავაზა 2025 წლის 20 იანვარი, 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, რ. გაჩეჩილაძემ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ გიორგი ბერიძის დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 იანვარი, 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

მოისმინეს: 6 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას სადისერტაციო ნაშრომის „ოკუპირებული რეგიონის მედიის სარედაქციო პოლიტიკა“ დაცვის თარიღის განსაზღვრა. ნაშრომის რეცენზენტები არიან: მარი წერეთელი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; თინათინ ზაქარაშვილი - სოციალურ მეცნიერებების დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი; ერიკ ფრიდმანი (Eric Freedman) - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს დაცვის თარიღად შესთავაზა 2025 წლის 16 იანვარი 17:00 საათი (მის: თსუ, VI კორპუსი, 303 აუდიტორია).

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, თ, დოლბაიამ.

დაადგინეს: „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას სადისერტაციო ნაშრომის „ოკუპირებული რეგიონის მედიის სარედაქციო პოლიტიკა“ დაცვის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 16 იანვარი 17:00 საათი (მის: თსუ, VI კორპუსი, 303 აუდიტორია).

მოისმინეს: 7 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციოლოგია“ დოქტორანტ ანა პაპიაშვილის სადისერტაციო

ნაშრომის "აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები" (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი, იაგო კაჭკაჭიშვილი) დაცვის თარიღის განსაზღვრა. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები არიან: ირინე დარჩია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; თამარ ხოშტარია - სოციოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი; ზაულე მაციუკაიტე-ჟვინიენე (Saulė Mačiukaitė-Žvinienė) - მენეჯმენტის დოქტორი, ვილნიუსის უნივერსიტეტის მეწარმოებისა და ინოვაციების მიმართულების პროფესორი. ს. დუნდუამ დაცვის თარიღად შესთავაზა 2025 წლის 27 იანვარს 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

აზრი გამოთქვეს: რ. გაჩეჩილაძემ, ნ. ბელქანიამ.

დაადგინეს: სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა პაპიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 იანვარი 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

მოისმინეს: 8 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია პროფესორ გიორგი გოგსაძისა და ასოცირებული პროფესორის, ია იაშვილის განცხადება მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიისთვის „The main challenges of gender based international labor mobility: Transnational migrant families from Georgia“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ Journal of Eurasian Studies“-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრულ ჯილდოზე წარსადგენად. ს. დუნდუას განცხადებით, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, მოცემული ჟურნალი არის ინდექსირებული SCOPUS ბაზაში და მოცემული სამეცნიერო ჟურნალის CiteScore არის 2.6. როგორც გიორგი გოგსაძე, ისე ია იაშვილი ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას (დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, თ, მატარაძემ.

დაადგინეს: წარდგენილ იქნეს პროფესორ გიორგი გოგსაძისა და ასოცირებულ პროფესორ ია იაშვილის სამეცნიერო სტატია The main challenges of gender based international labor mobility: Transnational migrant families from Georgia“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „Journal of Eurasian Studies“-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრულ ჯილდოზე.

მოისმინეს: 9 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძის განცხადება მის მიერ გამოქვეყნებული სტატიისთვის „Advocacy Coalitions and Education Policy Transfer: Lessons from School Board of Trustees Policy in Georgia", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „International Journal of Education Reform"-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრული ჯილდოს გამოყოფის თაობაზე. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მიწოდებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მოცემული სამეცნიერო ჟურნალის CiteScore არის 1.2, ხოლო სანდრო ტაბატაძე ასრულებს მისთვის დაკისრებულ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას (დანართი 4).

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, თ. ქარაიამ.

დაადგინეს: წარდგენილ იქნეს ასისტენტ პროფესორ სანდრო ტაბატაძის სამეცნიერო სტატია „Advocacy Coalitions and Education Policy Transfer: Lessons from School Board of Trustees Policy in Georgia", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „International Journal of Education Reform"-ში რექტორის #12/04 ბრძანებით (19.05.2021) განსაზღვრულ ჯილდოზე.

მოისმინეს: 9 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაგეგმილია აკადემიური საბჭოს 112-ე დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება. ს. დუნდუას განცხადებით, რადგან სავალდებულო გახდა პროფესორთა დატვირთვაში ასახულიყო დოქტორანტების ხელმძღვანელობა, პროფესორებისათვის აქამდე 112-ე დადგენილებით განსაზღვრულ საკონსულტაციო საათებში მოხდებოდა ამის გათვალისწინება. კერძოდ, პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისთვის საკონსულტაციო საათებად განისაზღვრა კვირაში 2 საათის დატვირთვა, რომლის შევსებაც შეეძლებათ დოქტორანტების კონსულტირებით, ასევე სხვა ტიპის დატვირთვებით, რაც დეტალურადაა ასახული დანართში (#5)

აზრი გამოთქვეს: რ. გაჩეჩილაძემ, გ, გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, მ. მაცაბერიძემ

დაადგინეს: თსუ აკადემიური საბჭოს 112- ე დადგენილებაში დაგეგმილი ცვლილებები მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს: 11. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სადოქტორო ნაშრომის სათაურების დაზუსტება/ცვლილების შესახებ.

მასობრივი კომუნიკაცია

1. ლიანა მარქარიანი - მე-5 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს სადისერტაციო ნაშრომის სათაურის კორექტირებას. სადისერტაციო თემის სათაური: „მანიპულაციური მექანიზმების მეტამორფოზა საბჭოთა მედიიდან თანამედროვეობამდე: ტიპოლოგია, გავლენები და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი (საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე)“ - დაკორექტირებული სათაური: „მანიპულაციური მექანიზმების ტრანსფორმაცია საბჭოთა პრესიდან ციფრულ მედიამდე: ტიპოლოგია და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე“; განცხადებას თან ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის მაია ტორაძის და პროგრამის ხელმძღვანელის ნინო ჭალაგანიძის თანხმობები.

სოციალური მუშაობა

2. მაგული შაღაშვილი - მე-5 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს სადისერტაციო ნაშრომის სათაურის კორექტირებას. სადისერტაციო თემის სათაური: „სოციალური მუშაობის როლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი სოციალური პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში“ დაკორექტირებული სათაური: „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სოციალური დაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის მომსახურების მოდელების განსაზღვრა“. განცხადებაში ასევე მოთხოვნილია დაუმტკიცდეს თანახელმძღვანელად ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი. განცხადებას თან ერთვის სამეცნიერო/პროგრამის ხელმძღვანელის თამარ მახარაძის და თანახელმძღვანელის ნინო შატბერაშვილის თანხმობები.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. ბელქანიამ, რ. გაჩეჩილაძემ

დაადგინეს: დაკორექტიორდეს დოქტორანტთა თემის სათაურები შემდეგი სახით:

1. ლიანა მარქარიანი - „მანიპულაციური მექანიზმების ტრანსფორმაცია საბჭოთა პრესიდან ციფრულ მედიამდე: ტიპოლოგია და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე“;
2. მაგული შაღაშვილი „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სოციალური დაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის მომსახურების მოდელების განსაზღვრა“.

მოისმინეს: 12. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" პროგრამიდან "კონფლიქტოლოგიის' სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანა, ს. დუნდუას ინფორმაციით, კონფლიქტების ანალიზი და მართვის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას რეაკრედიტაციის შედეგად შეეცვალა სახელი და ის გახდა "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო პროგრამა. კონფლიქტების ანალიზი და მართვის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პირადი განცხადებით ითხოვენ გადაყვანილ იქნენ ახალ სადოქტორო პროგრამაზე "კონფლიქტოლოგია":

- ბექა დადეშქელიანი - "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" მე-6 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია" (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის, რევაზ ჯორბენაძის განცხადებები);
- თამარ ხორბალაძე - "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" მე-7 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია" (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის, რევაზ ჯორბენაძის განცხადებები);
- როინ ზუმბულიძე - "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" მე-8 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია" (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის, რევაზ ჯორბენაძის განცხადებები);
- თინათინ ცერცვაძე - "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" მე-8 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია" (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის განცხადება);
- ნინო ბურდული - "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" მე-8 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია“ (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის განცხადება);

- ნიკოლოზ ჯაში - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-8 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია“ (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის განცხადება);
- მანიაშვილი ნინო - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-6 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს შეეცვალოს სასწავლო პროგრამა და შიდა მობილობით გადავიდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონფლიქტოლოგია“ (წარმოდგენილია დოქტორანტის, პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის - გუგული მაღრაძის განცხადება);

აზრი გამოთქვეს: რ. გაჩეჩილაძემ, თ. დოლბაია.

დაადგინეს: “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” პროგრამიდან სადოქტორო პროგრამაზე “კონფლიქტორლოგია” გადაწყვანილ იქნენ შენმდეგი სტუდენტები:

- ბექა დადეშქელიანი - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-6 სემესტრის დოქტორანტი
- თამარ ხორბალაძე - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-7 სემესტრის დოქტორანტი
- როინ ზუმბულიძე - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-8 სემესტრის დოქტორანტი
- თინათინ ცერცვაძე - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-8 სემესტრის დოქტორანტი
- ნინო ბურდული - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-8 სემესტრის დოქტორანტი
- ნიკოლოზ ჯაში - “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-8 სემესტრის დოქტორანტი
- მანიაშვილი ნინო- “კონფლიქტების ანალიზი და მართვის” მე-6 სემესტრის დოქტორანტი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

23. 12. 2024

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ლაშა მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

თინათინ მაჭარაშვილი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

01 02 05	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2025 წლის ბიუჯეტი
00	**ჯამური**	**3489948**
2	**ხარჯები**	**3484948**
2.1	**შრომის ანაზღაურება**	**2689820**
2.1.1	ხელფასები	2689820
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	2689 820.00
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	2689 820.00
	თანამდებობრივი სარგო -აკადემიური პერსონალი	1857 600.00
	თანამდებობრივი სარგო -ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	813 180.00
	დანამატი (თანამდებობრივი სარგო -აკადემიური პერსონალი)	0.00
	დანამატი (თანამდებობრივი სარგო -ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) 5%	19 040.00
2.2	**საქონელი და მომსახურება**	**762568**
2.2.1	**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**	**573568**
	აკადემიური პერსონალის-საათობრივი ანაზღაურება და სხვა ხელშეკრულებები	384 000.00
	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება	117 068.00
	კვლევითი პროექტები მაგისტრანტებისათვის	10 000.00
	უცხოეთიდან მოწვეული პერსონალის ანაზღაურება	31 000.00
	თარგმნის და რედაქტირების ანაზღაურება	6 500.00
	სახელმძღვანელოების კონკურსის ფარგლებში (ანაზღაურება)	25 000.00
2.2.2	**მივლინება**	**80000**
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	15 000.00
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	65 000.00
2.2.3	**ოფისის ხარჯები**	**35000**
2.2.3.3	**ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები, საერთაშორისო ინდექსირებულ (1.2 და ზევით) ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები**	35 000.00
2.2.4	**წარმომადგენლობითი ხარჯები**	**33000**
2.2.4.1	მათ შორის: მიღებებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების ხარჯები	7 000.00
2.2.4.2	მათ შორის: საექსკურსიო და კულტურულ–სანახაობათა ღონისძიების ხარჯი	5 000.00
2.2.4.3	მათ შორის:სასტუმროს მომსახურების(ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა) ხარჯები	14 000.00
2.2.4.4	მათ შორის: აეროპორტში დახვედრა გაცილება, მგზავრობის ხარჯები	5 000.00
2.2.4.5	მათ შორის: სუვენირების შეძენის ხარჯები	2 000.00
2.2.10	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**41 000**
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	1 000.00
	სამეცნიერო კვლევების მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები(გრანტების თანადაფინანსების ხარჯი)	
	პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯები	40 000.00
2.8	**სხვა ხარჯები**	**32 560**

	მათ შორის :საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)	
	მათ ძორის:სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები.	32 560.00
31	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**5 000**
	მათ შორის: წიგნები	5 000.00

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ტექსტში შემდგომ - „ფაკულტეტი“) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
4. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
5. დოქტორის ხარისხი არის აკადემიური ხარისხი, რომელიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.
6. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის დასახელება განისაზღვრება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

7. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება მისი განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. ერთობლივი აკადემიური ხარისხი არის საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად, მათ მიერ პირისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების შემდეგ, ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაცია.

მუხლი 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. ფაკულტეტი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. ხოლო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით დოქტორანტურის პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს, არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი.

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების მიღების ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. **კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.**
4. **დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა (დანართი №2).**
5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.
6. დოქტორანტობის კანდიდატი, ქართული ენის ცოდნის დადასტურების ვალდებულებისგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვა ხდება საერთაშორისო პარტნიორობის/პროექტის ფარგლებში.
7. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:
   ა) გადის გასაუბრებას ან/და აბარებს მისაღებ გამოცდას (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) სპეციალობაში, შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით;
   ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წარუდგენს **სადოქტორო კვლევით პროექტს;**
   გ) აბარებს უცხო ენის გამოცდას ან/და ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.
8. დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების ან/და სპეციალობაში გამოცდის (ზეპირი ან/და წერითი ფორმით), კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.

9. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება შესაძლებელია უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად (დანართი N11).**
10. დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.
11. დოქტორანტობის კანდიდატთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება

მუხლი 6. დოქტორანტურაში სწავლის პირობები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 - 40 ECTS კრედიტს.
2. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
3. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა არაუმეტეს 4 დამატებითი სემესტრის გავლის უფლება.
4. დისერტაციის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის მთელ პერიოდში, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. დისერტაციის თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის პირველი ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო პერსონალს, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი და უდასტურდება:
ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროში;
ბ) აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში ან/და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში ან/და დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკაში/კვლევის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები (არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი) ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

გ) ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა).

2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსუ-ის აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე.

3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები).

4. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს.

5. დოქტორანტს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უნდა უწყობდეს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.

6. დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში.

7. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს. აღნიშნული დასაშვებია მაშინ, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების ამ პუნქტში მოცემული პირობებისგან განსხვავებული თანაფარდობა, რის თაობაზეც თანხმობას გასცემს ფაკულტეტის საბჭო.

8. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

9. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები უნდა ჰქონდეს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და

საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა.

10. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდულ დაკვირვებას, დოქტორანტისთვის განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მიცემას.

11. თანახელმძღვანელი მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

13. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

14. დოქტორანტის სამეცნიერო **ხელმძღვანელ(ებ)ს/თანახელმძღვანელს** და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში, უშუალოდ ჩართული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენდეს დაწესებულების აფილირებულ აკადემიურ ან სამეცნიერო პერსონალს.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა (არსებობის შემთხვევაში).

4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას.

5. მიზანშეწონილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობა.

მუხლი 9. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის.
2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა (პროექტი 1, პროექტი 2 და პროექტი 3) და სადისერტაციო ნაშრომს.
3. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30-40 კრედიტს და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი, სავალდებულო); ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); დ) სხვა სასწავლო აქტივობები (არანაკლებ 5 კრედიტი) განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.
4. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის უნივერსიტეტის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო, პრაქტიკულ, სემინარულ, ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულდა ანაზღაურების გარეშე.
5. შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.
6. სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაცვის განრიგი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით და ტარდება დასკვნითი გამოცდების პერიოდში.

მუხლი 10. სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1-ის ფარგლებში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება, კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა, კვლევის მეთოდოლოგია/დიზაინი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/დოკუმენტების ანალიზი (წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს APA სტილი).

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 2 -ის ფარგლებში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები. ასევე კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა და კვლევის დიზაინის მოკლე აღწერა.
3. დოქტორანტი პირველ ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტს ირჩევს ელექტრონულ სასწავლო ბაზაში, აკადემიური რეგისტრაციის ფარგლებში. ამ მიზნით, აკადემიური რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთ თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაცვის საფალკლტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.
4. დოქტორანტმა სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე, ხოლო ბეჭდური ვერსია სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციასთან ერთად, უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების შემდგომ, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსიის სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებთან გაგზავნას.
5. პირველი და მეორე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. მასში შედის შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი და საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
6. სადისერტაციო თემის შეცვლის შემთხვევაში სავალდებულოა ახალი სადისერტაციო თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენა და მათი განხილვისათვის, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ყველა დადგენილი პროცედურის გავლა.
7. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3-ის მიზანია - კომისიისთვის სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის გაცნობა და დოქტორანტისათვის რეკომენდაციების გაცემა.
8. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3-ის წარდგენისა და შემოწმების პროცედურის გავლის მიზნით დოქტორანტი წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის თანხმობა და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD). ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), გაფორმებული მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესაბამისად.
9. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, რომელიც ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში შეამოწმებს ნაშრომის ორიგინალურობას (მათ შორის Turnitin-ის, ან ანალოგიური პროგრამის გამოყენებით) და ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის აღმოჩენის

შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური შესაბამის მიმართულებას აწვდის შემოწმების შედეგებს და აძლევს რეკომენდაციას რეაგირებისთვის. ნაშრომის გაფორმების წესის დარღვევის არსებობისას, დოქტორანტს ეძლევა ერთი თვის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია გადამუშავებული ნაშრომი ხელახლა ოფიციალურად წარმოადგინოს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით. აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური გაუგზავნის სადისერტაციო ნაშრომს შესაბამის მიმართულებას. ნაშრომის გადაგზავნიდან 2 კვირაში დაინიშნება პროექტის დაცვის თარიღი.

10. სამეცნიერო პროექტი 3-ის დაცვა ტარდება მიმართულების სხდომაზე. შემოწმების პროცედურა ხდება დახურულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან მიმართულების პროფესორები, დარგის სპეციალისტები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დოქტორანტი და ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი. დაცვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (30-40 წუთი); ბ) სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დისკუსია; გ) გადაწყვეტილების მიღება საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ (პროცესს არ ესწრებიან დოქტორანტი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი).
11. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების პროცედურის გავლის შედეგად შესაძლებელია გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები: ა) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურასთან დაკავშირებით; ბ) კვლევის დიზაინთან დაკავშირებით; გ) თეორიულ ჩარჩოსთან მიმართებაში; დ) ნაშრომის კვლევით კომპონენტთან მიმართებაში.
12. სამეცნიერო პროექტი 3-ის შემოწმების შედეგად მიმართულების სხდომაზე შესაძლებელია მიღებული იქნას შემდეგი გადაწყვეტილებები: ა) ნაშრომი მზად არის დასაცავად; ბ) ნაშრომში არის მცირედი ხარვეზები, რომელიც დოქტორანტმა უნდა გამოასწოროს და ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების პროცედურის გავლის გარეშე წარადგინოს მისი დაცვის მიზნით, სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე; გ) სადისერტაციო ნაშრომში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები და საჭიროებს გადამუშავებას (ამ შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა არანაკლებ 3 თვისა ნაშრომის გასაუმჯობესებლად. ნაშრომის გაუმჯობესების შემდეგ დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს განხილვის პროცედურა).
13. სამეცნიერო პროექტი 3-ის დაცვის პროცედურის მსვლელობა, მიღებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენელი. დაცვის ოქმი, წარმოდგენილ სადოქტორო დისერტაციის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 11. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2. **დისერტაციის/სადოქტორო ნაშრომის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.**
3. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას (დანართი №5).
4. დისერტაცია და მისი აბსტრაქტი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე.
5. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
7. სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურენოვანი შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობაა 35-45 გვერდი, ბიბლიოგრაფიის გარეშე.
8. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას შეიმუშავებს ფაკულტეტი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტი ფაკულტეტს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას (CD), მათ შორის ქართულად 3 და უცხო ენაზე 1 მაგარ ყდაში აკინძულ ეგზემპლარად.
2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), ხოლო მისი შემოკლებული ვარიანტი ინგლისურ ენაზე;
3. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

   ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს;

   ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;

   გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ინგლისურ (35 - 45 გვერდი, ბიბლიოგრაფიის გარეშე) ენაზე; ასევე სადისერტაციო კვლევის შედეგები (2-3 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე;

   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე(დანართი #8);

   ე) ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტების (პროექტების) შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

თ) სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სადაც ასახული იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებები და შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.
5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.
6. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმისწარმოებას.
7. ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას.
8. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან, თუ ნაშრომს წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, ხოლო სემესტრის განმავლობაში ნაშრომის წარმოდგენისას - მომდევნო სემესტრიდან.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. **ფაკულტეტის საბჭო, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით, გამოყოფს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს, რომლებსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.**
2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული

სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

4. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
5. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას.
6. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (დანართი №9).
7. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.
8. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება დასაცავად.
9. სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სამი რეცენზენტი, მათგან ერთი – უცხოელი.
10. რეცენზენტი ვალდებულია, ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად.
11. რეცენზენტთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. უცხოელი რეცენზენტის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიასა **და სააპელაციო კომისიას** ადგენს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების და ასოცირებული პროფესორების უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის მეცნიერ-

თანამშრომლებისგან. ასევე, არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ შვიდი წევრისგან, **ხოლო სააპელაციო კომისია - არანაკლებ 5 წევრისგან.**
5. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი/**თანახელმძღვანელი** და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს, რეცენზენტების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შემოსულ გამოხმაურებებს
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს;
ბ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;
გ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.“

მუხლი 15. დისერტაციის დაცვა

1. **ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება დისერტაციის დაცვის თარიღი.**
2. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
3. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
4. დაცვის პროცესი ითვალისწინებს: დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
5. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:
   ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (20-30 წუთი);
   ბ) რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
   გ)დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შენიშვნებზე და დასმულ შეკითხვებზე საჯარო პასუხის გაცემა/სამეცნიერო დისკუსია;
   დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;

ე) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

6. დისერტაციის დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიის წევრები.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და ასევე განთავსდება შესაბამის ლექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით (სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი; დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია; დოქტორანტის განაცხადი; დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში; სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის; რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები); სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი).
9. **დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება ხდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად (დანართი N12).**

მუხლი 16. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკულირომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71–80 ქულა;

დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;

ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

ვ) "insufficienter" - "არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს დამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას/შეფასებას აცნობს ზეპირად.

მუხლი 17. ხარისხის მინიჭება და დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PHD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.
2. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.
3. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 18. დისერტაციის გამოქვეყნება

1. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ერთი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.
2. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.
3. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 19. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის პროგრამის შეცვლის პროცედურები

1. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ფაკულტეტის ფარგლებში. საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო

დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.

2. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის საგნმანათლებლო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
3. **დოქტორანტის მიერ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის სხვა შემთხვევა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებით.**

მუხლი 20. ერთობლივი სადოქტორო პროგრამები

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს დოქტორანტურის საგნამანთლებლო პროგრამა უნივერსიტეტსა და სხვა უნივერსიტეტ(ებ)ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. დოქტორანტურის ერთობლივი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებით. შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები. შემუშავებულ დოკუმენტს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. წინამდებარე დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია

1.საწყისი ნაწილი – ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით):

1.1 თავფურცელი (მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური; ტექსტი „---------- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია“; სამეცნიერო

ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი, უნივერსიტეტის, აკადემიური პოზიციისა და ხარისხის მითითებით; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი) (იხ. ნიმუში).

1.2 აბსტრაქტი (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარდგენილი. თითოეული აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).

1.3 სარჩევი (აღინიშნოს სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად).

1.4 ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში მიეთითოს - სათაური, ნომერი და გვერდი).

1.5 აბრევიატურის ჩამონათვალი (აბრევიატურის ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები).

2. **ძირითადი ნაწილი: ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით.**

2.1 შესავალი (აღიწერება - საკვლევი პრობლემა; კვლევის მნიშვნელობა; კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვა ან/და ჰიპოთეზა; კვლევის ინოვაციურობა; ნაშრომის სტრუქტურის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა);

2.2 კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს დახასიათებული და მათი გამოყენება დასაბუთებული ეფექტიანობის თვალსაზრისით. დეტალურად და თანმიმდევრულად აღიწეროს კვლევის პროცედურები და/ან ინსტრუმენტები.

2.3 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო (გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სხვა სახის მასალები; წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA)აკადემიური სტილი (იხილეთ ბმული: https://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa))

2.4 კვლევის შედეგები (შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს სისტემურად და ლოგიკურად; სასურველია შედეგები განხილულ იყოს ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ასახულ სხვა მეცნიერთა პოზიციებთან და მიგნებებთან მიმართებაში).

2.5 დასკვნები ან/და რეკომენდაციები (ყველა ძირითადი შედეგის შეჯამება და საკვლევი საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების პერსპექტივები/ რეკომენდაციები).

3. **დასკვნითი ნაწილი:**

3.1 ბიბლიოგრაფია (ყველა გამოყენებული წყარო - ელექტრონული თუ ბეჭდური მასალები მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით).

3.2 დანართები (მასალა, მათ შორის ცხრილები და გრაფიკები, რომლის სრული განთავსებაძირითად ნაწილში არ არის რეკომენდირებული).

ნაშრომის დიზაინი

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა (ძირითადი ნაწილი) უნდა იყოს არანაკლებ 125 გვერდისა, ხოლო უცხოენოვანი ვერსიის (ძირითადი ნაწილი) მოცულობა 30-45 გვერდი. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება Sylfaen-ის შრიფტი, ხოლო ინგლისური ტექსტისთვის Times New Roman. გვერდის საზღვრები: მარჯვნივ - 1,5 სმ., მარცხნივ - 3 სმ., ზემოთ- 2 სმ., ქვემოთ - 2 სმ. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12, აბრევიატურის შრიფტის ზომა – 14.; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5.

სადისერტაციო ნაშრომის თავფურცლის ნიმუში:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგნმანათლებლო პროგრამა

ავტორის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:

სახელი და გვარი – უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, აკადემიური თანამდებობა, აკადემიური ხარისხი

თბილისი, წელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი № 1 განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა: თარიღი:

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარეს, ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ სალომე
დუნდუას
ამავე ფაკულტეტის პროფესორის გიორგი გოგსაძის და
ასოცირებული პროფესორის ია იაშვილის

მიმართვა

ქალბატონო სალომე,

გაცნობებთ, რომ სამხრეთ კორეულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალის Journal of Eurasian Studies, 2024 წლის ერთ-ერთ ნომერში (ბმული: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/18793665241266263) ჩვენი ავტორობით გამოქვეყნდა სტატია "The main challenges of gender based international labor mobility: Transnational migrant families from Georgia".

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ მოცემული აქტივობის თსუ-ს რექტორის ჯილდოზე წარდგენა.

ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნული სტატიის გათვალისწინების გარეშე, ორივე ავტორს შესრულებული აქვს 2024 წლის სამეცნიერო დატვირთვა.

პატივისცემით,
გიორგი გოგსაძე, პროფესორი

ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი

22-10-2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს

ქ-ნ მანანა შამილიშვილს,

ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის

სანდრო ტაბატაძის

(პ/ნ: 01008044411; ტელ: +995514411100;

ელ.ფოსტა: Sandro.tabatadze@tsu.ge)

განცხადება

ქ-ნ მანანა, გაცნობებთ, რომ ჩემი თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: “International Journal of Education Reform”, რომლის CiteScore არის 1.2.

ამასთან, გაცნობებთ, რომ 2024 წლისთვის გადაჭარბებით (კერძოდ, 585 ქულა) ვასრულებ თსუ-ის აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილ მინიმალური სამეცნიერო დატვირთვას. შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი თსუ-ის რექტორის ჯილდოზე წარსადგენად.

იხილეთ მტკიცებულებები:

ჟურნალის CiTeScore: https://journals.sagepub.com/overview-metric/ref?tabActivePane=view-indexing-metrics&

სტატიის ბმული: https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/10567879241266232

პატივისცემით,



სანდრო ტაბატაძე

25.11.2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის

წამყვანი სპეციალისტის,

მაია კოტრიკაძის

სამსახურეობრივი ბარათი

ქ-ნ სალომე, მოცემული წერილით ვადასტურებ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის **გიორგი გოგსაძისა** და ასოცირებული პროფესორის, **ია იაშვილის** თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია The main challenges of gender based international labor mobility: Transnational migrant families from Georgia გამოცემულია Scopus-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: Journal of Eurasian Studies, 2024 წლის გამოცემაში. მოცემული სამეცნიერო ჟურნალის CiteScore არის 2.6. გაცნობებთ, რომ როგორც გიორგი გოგსაძე, ისე ია იაშვილი ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას.

ასევე, მოცემული წერილით ვადასტურებ, რომ ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, **სანდრო ტაბატაძის** ავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია: "Advocacy Coalitions and Education Policy Transfer: Lessons from School Board of Trustees Policy in Georgia" გამოცემულია Scopus-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: International Journal of Education Reform", 2024 წლის მეოთხე ნომერში. მოცემული სამეცნიერო ჟურნალის CiteScore არის 1.2. გაცნობებთ, რომ სანდრო ტაბატაძე გადაჭარბებით ასრულებს მისთვის დაკისრებულ მინიმალურ სამეცნიერო დატვირთვას.

იხ. მტკიცებულებები:

1. **გიორგი გოგსაძისა და ია იაშვილის თანაავტორობით გამოცემული პუბლიკაციისთვის**

ჟურნალის CiTeScore: https://journals.sagepub.com/metrics/ENS

სტატიის ბმული: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/18793665241266263

2. **სანდრო ტაბატაძის ავტორობით გამოცემული პუბლიკაციისთვის**

ჟურნალის CiTeScore:
https://journals.sagepub.com/overview-metric/ref?tabActivePane=view-indexing-metrics&

სტატიის ბმული: https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/10567879241266232

მაია კოტრიკაძე

მ. კოტრიკაძე

თარიღი: 25.11.2024

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა ასახონ აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვის ნაწილში.

ხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N112/2013 დადგენილებაში („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“) შესაბამისი ცვლილებების შეტანა. კერძოდ:

1) პროფესორს/ასოცირებულ პროფესორს (მიუხედავად კატეგორიისა), <u>**რომელსაც საერთო დატვირთვაში განსაზღვრული აქვს საკონსულტაციო საათები**</u>, შეუმცირდეს საკონსულტაციო საათების რაოდენობა და განესაზღვროს 2 საათით.
2) ასისტენტ-პროფესორს (მიუხედავად კატეგორიისა), <u>**რომელსაც საერთო დატვირთვაში განსაზღვრული აქვს საკონსულტაციო საათები**</u>, შეუმცირდეს საკონსულტაციო საათების რაოდენობა და განესაზღვროს 4 საათით.
3) ასისტენტებს, რომელთა კონკურსის საფუძველზე მიღებაც იგეგმება 2025 წლიდან, საკონსულტაციო საათების რაოდენობა განესაზღვროთ 2 საათით. ხოლო იმ შეთმხვევაში, თუ მოქმედ ასისტენტს განსაზღვრული აქვს 2 საკონსულტაციო საათზე მეტი, ვალდებულება შეუმცირდეს 2 საათამდე.
4) გარდა ზემოხსენებულისა, წესში განხორციელდეს შემეგი შინაარსის ცვლილებები და მე-2 პუქნტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები:

2^1. სავალდებულო სასწავლო პედაგოგიური დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი; ასოცირებული პროფესორი) გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პედაგოგიური დატვირთვისა მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას (კვირაში 2 საათის შესაბამისი კოეფიციენტირებით).

2^2. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიურ პერსონალი (პროფესორი; ასოცირებული პროფესორი) არ ხელმძღვანელობს დოქტორანტ(ებ)ს 2^1 პუნქტში მითითებული დატვირთვის შესრულება

შუძლია შემდეგი შინაარსის ალტერნატიული აქტივობებით (შესაბამისი კოეფიციენტირებით): სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას, სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს/რიდერის შექმნა; უნივერსიტეტის აკადემიურ/წარმომადგენლობითი/სადისერტაციო და ფაკულტეტის საბჭოს წევრობა; პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კოორდინატორობა; საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობა; სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადება, სტუდენტთა მომზადება ოლიმპიადებისათვის, იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის; სეზონური სკოლის ორგანიზება/ხელმძღვანელობა; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმღები კომისიის წევრობა; საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციების წაკითხვა.

2^2. ამ წესის მე-2^1 და მე-2^2 პუნქტებში მითითებულ თითეული აქტივობა საათობრივ ნაწილში გამოითვლება შესაბამისი კოეფიციენტით:

ა. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა: 1 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი კვირაში 1 საათი; 2 და მეტი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი კვირაში 2 საათი.
ბ. სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოელი ნაშრომი კვარიში 0.5 საათი.
გ. სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს შექმნა - კვირაში 2 საათი.
დ. სასწავლო კურსის რიდერის შექმნა - კვირაში 0.5 საათი.
ე. უნივერსიტეტის აკადემიურ/წარმომადგენლობითი/სადისერტაციო და ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - კვირაში 0.5 საათი.
ვ. პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა/კოორდინატორობა - კვირაში 0.5 საათი.
ზ. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობა - კვირაში 0.5 საათი.
თ. სტუდენტის კონფერენციისათვის მომზადება, სტუდენტთა მომზადება ოლიმპიადებისათვის, იმიტირებული პროცესებისა და სხვა სახის შეჯიბრებებისათვის - კვირაში 1 საათი;
ი. სეზონური სკოლის ორგანიზება/ხელმძღვანელობა - კვირაში 1 საათი;
კ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმღები კომისიის წევრობა - კვირაში 0.5 საათი;
ლ. საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციების წაკითხვა - კვირაში 1 საათი;
მ. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა სასწავლო პედაგოგიური დატვირთვა, ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2^3. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის მიერ ამ წესის მე-2^1 პუნქტში მითითებული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა ასახულია დატვირთვის სქემაში, მასზე არ ვრცელდება ამ წესის მე-2^1 და მე-2^2 პუნქტების მოთხოვნები.
2^4. აკადემიური პერსონალი, რომელიც ვერ შეასრულებს მე-2^1 და მე-2^2 პუქნტებში მითითებულ სავალდებულო სასწავლო პედაგოგიურ დატვირთვას (კვირაში არანაკლებ 2 საათი), ვალდებულია მომდევნო სემესტრში (დანაკლისი საათების ოდენობით) დამატებით აანაზღაუროს წინა სემესტრის შესასრულებელი პედაგოგიური დატვირთვა შედეგი აქტივობებით: ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მეცადიენობა; სამუშაო ჯგუფი; ლაბორატორიული მეცადინეობა; სასწავლო/საველე/პროფესიული პრაქტიკა.